



**ბუღალტრული აღრიცხვის,
ანგარიშგებისა და აუდიტის
ზედამხედველობის სამსახური**

31 ოქტომბერი 2024



N113417

ქ. თბილისი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

შპს "რუმს ჰოტელს ლაბი"-სთვის წერილობითი გაფრთხილების სახით პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ

შპს "რუმს ჰოტელს ლაბი"-ს მიერ (ს/ნ - 404676169, მისამართი: ქ.თბილისი, კოსტავას ქ 14) (შემდგომ - სუბიექტი) ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს (შემდგომ - სამსახური) 2023 წლის საანგარიშგებო პერიოდის ანგარიშგება 2024 წლის 1 ოქტომბერს წარედგინა.

სუბიექტის მიერ წარდგენილი ინფორმაციის თანახმად, იგი წარმოადგენს II კატეგორიის საწარმოს.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომ - კანონი) მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სამსახურმა განახორციელა წარდგენილი ანგარიშგების კანონითა და „ანგარიშგების ვებგვერდზე მომხმარებელთა რეგისტრაციის, სუბიექტების მიერ ანგარიშგების წარდგენისა და წარდგენილი ინფორმაციის გასაჯაროების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2019 წლის 21 მაისის №ნ-6 ბრძანებით დამტკიცებული წესით (შემდგომ - წესი) დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის გადამოწმება და გამომარკვია:

კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „სდპ, პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები და პირველი და მეორე კატეგორიების ჯგუფები ვალდებული არიან, უზრუნველყონ საკუთარი ფინანსური ანგარიშგების/კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ამ კანონის მე-15 მუხლით გათვალისწინებული წესით, თუ შესაბამისი სფეროს მარეგულირებელი ნორმატიული აქტებით სხვა რამ არ არის დადგენილი“. სუბიექტის მიერ ატვირთული ანგარიშგება არ არის აუდიტირებული.

წესის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად „სუბიექტი, გარდა მეოთხე კატეგორიის საწარმოსი, ვალდებულია ანგარიშგების ატვირთვის ჩანართში ატვირთოს მისთვის კანონით დადგენილი ფინანსური ანგარიშგება, მმართველობის ანგარიშგება და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში აუდიტორული დასკვნა სრულად, ერთ დოკუმენტში, ხოლო ჯგუფის არსებობის შემთხვევაში, თუ სუბიექტი წარმოადგენს პირველი, მეორე ან მესამე კატეგორიის ჯგუფის მშობელ საწარმოს, ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში აუდიტორული დასკვნა სრულად, ერთ დოკუმენტში“. ამავე

მუხლის მე-3- მე-5 პუნქტების მიხედვით, "ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ანგარიშგებებზე ხელმოწერის შესრულება/შტამპის დასმა ხორციელდება ელექტრონულად „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. სუბიექტის ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს/წესდებით, ან შესაბამისი მინდობილობით განსაზღვრულ პირს, ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ანგარიშგებებზე, გარდა ელექტრონული ხელმოწერისა, შეუძლია შეასრულოს პირადი ხელმოწერა. სუბიექტმა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშგებები უნდა ატვირთოს „pdf“ ფორმატში, რომელშიც შესაძლებელია ტექსტის ძიება, მონიშვნა და კოპირება, ხოლო ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ის გვერდები, რომლებზეც მოცემულია პირადი ხელმოწერები, დამატებით, წარმოდგენილი უნდა იყოს ამავე დოკუმენტში, შესაბამის ხელმოწერულ გვერდებამდე ან გვერდების შემდგომ, დასკანერებულ „pdf“ ფორმატში“. სუბიექტის მიერ ატვირთული ანგარიშგება არ არის ხელმოწერილი.

კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „სდპ-მა და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოებმა უნდა მოაშადაონ და სამსახურს უნდა წარუდგინონ მმართველობის ანგარიშგება.“ ამავე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, „საქმიანობის მიმოხილვას ამახადებენ სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები“. წესის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „სუბიექტი, გარდა მეოთხე კატეგორიის საწარმოსი, ვალდებულია ანგარიშგების ატვირთვის ჩანართში ატვირთოს მისთვის კანონით დადგენილი ფინანსური ანგარიშგება, მმართველობის ანგარიშგება და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში აუდიტორული დასკვნა სრულად, ერთ დოკუმენტში, ხოლო ჯგუფის არსებობის შემთხვევაში, ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში აუდიტორული დასკვნა სრულად, ერთ დოკუმენტში“. სუბიექტს ანგარიშგების ატვირთვის ჩანართში არ წარუდგენია მმართველობის ანგარიშგება.

კანონის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, „სდპ-ები და პირველი კატეგორიის საწარმოები ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებას აწარმოებენ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად“. ამავე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, „მეორე და მესამე კატეგორიების საწარმოები ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებას აწარმოებენ მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SMEs) შესაბამისად.“ სუბიექტის მიერ ატვირთული ინდივიდუალური ანგარიშგება არ არის მომზადებული კანონით დადგენილი სტანდარტის შესაბამისად. სუბიექტის მიერ არ არის წარმოდგენილი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება და განმარტებითი შენიშვნები.

მიმდინარე წლის 27 სექტემბერს, საწარმომ მომართა სამსახურს განცხადებით N 162461/16, რომლითც მოითხოვა 2023 წლის საანგარიშგებო პერიოდის აუდიტირებული ანგარიშგების წარდგენის გადავადება. სამსახურის, 2024 წლის 3 ოქტომბრის N 16/74664 წერილით სუბიექტს ეცნობა, რომ კანონი არ ითვალისწინებდა ანგარიშგების წარდგენის გადავადების შესაძლებლობას, ასევე კანონით არ იყო გათვალისწინებული ანგარიშგების წარუდგენლობასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი ან/და გამომრიცხველი გარემოებები. ამასთან, ვინაიდან კანონის 27-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება ხორციელდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად, სამსახურმა იმსჯელა საწარმოს მიერ განცხადებაში მითითებულ ფაქტთან, კერძოდ, კომპანიის ფინანსური დეპარტამენტის ჩამოყალიბებასთან, საბუღალტრო პროგრამების დანერგვასა და აუდიტორული ფირმის მოძიების გაჭიანურებასთან დაკავშირებით და აღნიშნული არ იქნა მიჩნეული პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებად. სამსახურის საპასუხო წერილი N 16/74664 სუბიექტს ფოსტის საშუალებით, მატერიალურად ჩაბარდა მიმდინარე წლის 7 ოქტომბერს.

კანონის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, „ამ კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში სუბიექტს წერილობითი გაფრთხილება ეგზავნება. წერილობითი გაფრთხილებით განსაზღვრულ ვადაში სუბიექტის მიერ აუდიტირებული ფინანსური

ანგარიშგების კანონის მოთხოვნების შესაბამისად წარუდგენლობა გამოიწვევს მის დაჯარიმებას ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად. სამსახური სუბიექტს აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების წარსადგენად ფულადი ჯარიმის შესახებ აქტით დამატებით ვადას განუსაზღვრავს. სამსახურის მიერ სუბიექტისთვის განსაზღვრული ვადა არ უნდა იყოს 1 თვეზე ნაკლები და 6 თვეზე მეტი. აღნიშნულ ვადაში სუბიექტის მიერ აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების წარუდგენლობა გამოიწვევს მის დაჯარიმებას საწარმოს კატეგორიისთვის განსაზღვრული ჯარიმის ორმაგი ოდენობით“.

კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტისა და 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სუბიექტს მიეცეს წერილობითი გაფრთხილება;
2. სუბიექტს დაევალოს, კანონით დადგენილი წესით ანგარიშგების ატვირთვის ჩანართში ატვირთოს აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიშგება (აუდიტორის მოსაზრებასთან ერთად) სრულად, ერთ დოკუმენტში ბრძანების ოფიციალური წესით გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში;
3. ამ ბრძანების მე-2 პუნქტში მითითებული მოთხოვნის შეუსრულებლობა გამოიწვევს სუბიექტის დაჯარიმებას;
4. ეს ბრძანება ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით მჭედლიძე

სამსახურის უფროსი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხვედველობის სამსახური

